ნაშრომის მიზანი. თერმომექანიკური დატვირთვებისას ღეროების დეფორმირების არაწრფივი ამოცანების გაანგარიშების მეთოდების დამუშავება რიცხვითი ანალიზის თანამედროვე სისტემების გამოყენებით.

ნაშრომის ძირითადი ამოცანები. მიზნის მიღწევისათვის დასმულია და გადაწყვეტილია შემდეგი ამოცანები: 1. გამოკვლეულია თბოგამტარობის არასტაციონარული ამოცანა ღეროსათვის მათემატიკური რედაქტორის Mathcad -ის გამოყენებით; 2. შესწავლილია ბრტყელი კვეთის განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლები არათანაბარი გახურებისას და მასალის ცვლადი დრეკადობის მო-

დულისას; 3. ჩამოყალიბებულია ღეროების ბრტყელი ღუნვის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა თერმომექანიკური დატვირთვისას; 4. არაწრფივი განტოლებების ინტეგრირება ჩატარებულია ამოხსნის პარამეტრით გაგრძელების და პარალელური სროლის მეთოდით; 5. შესრულებულია კონსოლური ძელის ექსპერიმენტალური კვლევა არათანაბარი თერმომექანიკური დატვირთვისას; 6. ექსპერიმენტალური გაზომვების შედეგები დამუშავებულია Mathcad-ში და განსაზღვრულია ხარისხობრივი რეგრესიის კოეფიციენტები; 7. მოცემულია ექსპერიმენტის შედეგების შედარება თეორიული გაანგარიშების მონაცემებთან.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება. დამუშავებულია თერმომექანიკური დატვირთვისას ღეროების არაწრფივი დეფორმირების კომპლექსური კვლევის მეთოდები. დამუშავებულია გამოყენებითი პროგრამების პაკეტი Mathcad-ის სისტემაში: ბრტყელი კვეთის განზოგადებული მახასიათებლების გასაანგარიშებლად, არასტაციონარული ტემპერატურული ამოცანის ამოხსნისათვის, ექსპერიმენტალური გაზომვების შედეგების დამუშავებისათვის. დამუშავებულია ღეროების ბრტყელი ღუნვის არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის გაანგარიშების მეთოდიკა სტაციონარული არაერთგვაროვანი თერმომექანიკური დატვირთვისას. რიცხვითი გაანგარიშებები შესრულებულია ალგორითმულ ენა FORTRAN-ზე. გამოყენებითი პროგრამების პაკეტი ამარტივებს რთულ საინჟინრო გაანგარიშებებს.

დამუშავებული მეთოდები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოიყენონ პრაქტიკოსმა სპეციალისტებმა მანქანათმშენებლობის და სამშენებლო კონსტრუქციების ღეროვანი ელემენტების გაანგარიშებისათვის, ასევე დამუშავებული მეთოდები შეიძლება გამოყენებული იქნეს მაღალი კურსის სტუდენტებისა და მაგისტრანტების სწავლის პროცესში.

დაცვაზე გამოტანილი დებულებები. 1. სწორი ღეროს ერთგანზომილებიანი არასტაციონარული ამოცანის რიცხვითი ამოხსნის მეთოდიკა Mathcad - ის სისტემაში პირველი და მესამე გვარის სა-

საზღვრო პირობებისას, მათ შორის ექსპერიმენტალურად დადგენილი არასტაციონარული სასაზღვრო პირობებისათვის; 2. თბოგამტარობის ორგანზომილებიანი არასტაციონარული ამოცანა ღეროს ზედაპირის ნაწილის გახურებისას; 3. ბრტყელი კვეთის განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლების და დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატების გაანგარიშების მეთოდის ტემპერატურის არათანაბარი განაწილებისას და ცვლადი დრეკადობის მოდულისას. გაანგარიშებები შესრულებულია Mathcad - ის სისტემაში; 4. საწყისი სიმრუდის მქონე ღეროების ბრტყელი დეფორმირების არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის რიცხვითი ამოხსნის მეთოდის სტაციონარული თერმომექანიკური დატვირთვისას თერმოდრეკადი ხაზის დეფორმაციის გათვალისწინებით; 5. ღეროს ბრტყელი დეფორმირების ამოცანა არასტაციონარული თერმომექანიკური დატვირთვისას; 6. კონსოლური ძელის ტემპერატურული ველისა და გადაადგილებების ექსპერიმენტალური კვლევა, გაზომვების შედეგების დამუშავების მეთოდის Mathcad - ის სისტემაში.

ნაშრომის აპრობაცია. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები და შედეგები მოხსენებული იქნა საერთაშორისო კონფერენციებზე VI ANNUAL MEETING OF THE GEORGIAN MECHANICAL UNION (Tbilisi 2015წ.), III International Scientific Conference ENERGY:REGIONAL PROBLEMS AND DEVELOPMENT OPPORTUNITIES (Kutaisi 2015წ.), აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის დეპარტამენტის სამეცნიერო სემინარებზე (2014 წ., 2015წ., 2016წ.)

პუბლიკაციები. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებულია 6 სამეცნიერო ნაშრომი.

დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა. დისერტაცია შედგება შესავლისაგან, ხუთი ნაწილისაგან, ძირითადი დასკვნებისა და შედეგებისაგან, ლიტერატურის ჩამონათვალისა და დანართებისაგან. დაბეჭდილია კომპიუტერზე. ნაშრომი დაბეჭდილია 108 გვერდზე და შეიცავს 37 ნახაზს, 5 ცხრილს და 3 დანართს. ლიტერატურის ჩამონათვალი მოიცავს 75 დასახელებას.

ნაშრომის შინაარსი

შესავალში დასაბუთებულია დისერტაციის თემის აქტუალობა, ფორმულირებულია ნაშრომის მიზანი და მისი პრაქტიკული ღირებულება

პირველ ნაწილში მოცემულია სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, რომელშიც გამოკვლეულია ღეროების დამაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ტემპერატურული ველისა და მექანიკური დატვირთვის მოქმედებისას, დეფორმირების გეომეტრიულად არაწრფივი ამოცანები. ღეროების თეორიის შექმნაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გ.კირხოფის, ა.ე. გრინის, ა.ლიავის, ე.ლ.ნიკოლაის, გ.ი.ჯანელიძის, ა.ი.ლურიეს, ე.რეისნერის, ვ.ა.სვეტიცკის, ა.ა.ილიუხინის, ე.ა.პოპოვის, ე.ა.ბელინის, ა.გორგიძის და სხვ. შრომებმა.

ღეროების თეორიის განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული დრეკადობის თეორიის განვითარებასთან. პირველი მცდელობა დრეკადობის თეორიის სამგანზომილებიანი განტოლებების გარდაქმნისა თხელკედლიანი ღეროებისათვის ეკუთვნის ა.ლიავს. თანამედროვე ეტაპზე დრეკადი ღეროების თეორიას აქვს საკმაოდ ზოგადი ხასიათი. მაგრამ ასეთი ზოგადობა მიიღწევა ძირითადი დამოკიდებულებების გართულებით, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ გამოყენებას პრაქტიკული ამოცანების ანალიზისას. ს.ს.ანტმანის აზრით ღეროების თეორია უფრო ზოგადია, ვიდრე ამას ითხოვს პრაქტიკა. ამიტომ აუცილებელია შედარებით ადვილი თეორიის განვითარება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება პრაქტიკოსი სპეციალისტების ფართო წრისათვის.

თერმოდრეკადი ღეროების დეფორმირების გეომეტრიულად წრფივი ამოცანები განხილულია ი.ა.ბირგერის, ნ.ნ.მალინინის, ბ.ბოლის, ჯ.უეინერის, ბ.ე.გეიტვუდის და სხვ. შრომებში, რომლებშიც გამოკვლეულია ტემპერატურული ძაბვები ბრტყელი კვეთების ჰიპოთეზის საფუძველზე. მარტივ შემთხვევაშიც კი, ერთგანზომილე-

ბიანი სტაციონარული ტემპერატურული ველის ზემოქმედებას არსებითი ცვლილებები შეაქვს ლუნვის ამოცანის შესწავლაში. იცვლება დეფორმაციის სურათი დრეკადი ღეროს ლუნვასთან შედარებით, რაც გამოწვეულია ტემპერატურული დეფორმაციებით. არ არსებობს ე.წ. ნეიტრალური შრე, იცვლება ძაბვების განაწილების სურათი. ნ.ჰოფის შრომებში შესწავლილია ღეროების ტემპერატურული გამობურცვა.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ ღეროების დეფორმირების არაწრფივი ამოცანები თერმომექანიკური დატვირთვისას კომპლექსურად არასაკმარისადაა შესწავლილი. რიცხვითი მეთოდების გამოყენება არის მძლავრი მათემატიკური აპარატირთული ამოცანების კვლევისათვის, რომელთა ამოხსნაც არსებითია ამა თუ იმ კონსტრუქციის პროექტირების ეტაპზე. ფრიად მნიშვნელოვანია ასევე პერსონალურ კომპიუტერებთან თავსებადი ამოცანების ამოხსნის თანამედროვე სისტემების გამოყენება.

წარმოდგენილია თერმომექანიკური დატვირთვის გზები. განიხილება მცირე დეფორმაციები. მასალის მოდელი ერთღერძა დაძაბული მდგომარეობისათვის შერჩეულია სახით:

$$\varepsilon = \varepsilon^e + \varepsilon^T . \quad (1)$$

დრეკადი და ტემპერატურული დეფორმაციებისათვის გამოყენებულია თერმოდრეკადობის დამოკიდებულებები:

$$\varepsilon^e = \sigma / E(T) , \quad \varepsilon^T = \beta(T)(T - T_0) , \quad (2)$$

სადაც დრეკადობის მოდული E და ტემპერატურული გაფართოების კოეფიციენტი β დამოკიდებულია ტემპერატურაზე და ზოგადად, წარმოადგენენ კოორდინატების ფუნქციებს. მოცემულია დრეკადობის მოდულის შემცირების ექსპერიმენტალური მონაცემები სხვადასხვა საკონსტრუქციო შენადნობების 250°C - მდე გახურებისას.

თუ (1) განტოლებაში გავითვალისწინებთ დამატებით დეფორმაციებს, შეიძლება გავაფართოვოთ მასალათა კლასი და აღვწეროთ დეფორმირების კანონზომიერებები თერმოდრეკადი მარტენსიტული გარდაქმნის ტემპერატურულ ინტერვალებში.

მეორე ნაწილში განიხილება თბოგამტარობის არასტაციონარული ამოცანა მართკუთხა კვეთის მქონე სწორი ძელისათვის. ფორმულირებულია თბოგამტარობის დიფერენციალური განტოლება, საწყისი და სასაზღვრო პირობები ზოგადი სახით. შესწავლილია ერთგანზომილებიანი არასტაციონარული თბოგამტარობის ამოცანა. ჩათვლილია, რომ ტემპერატურული ველი იცვლება განივი კვეთის სიმაღლის მიხედვით (y კოორდინატი) და დროში $t, T = T(y, t)$, სითბოს შიგა წყარო სხეულში არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში თბოგამტარობის განტოლებას აქვს სახე:

$$\frac{\partial^2 T}{\partial y^2} = \frac{1}{a} \frac{\partial T}{\partial t}, \quad (3)$$

სადაც: $a = \lambda / (c\gamma)$ - ტემპერატურაგამტარობის კოეფიციენტი, c - მყარი სხეულის სითბოტევადობა, T - ტემპერატურა, γ - მასალის სიმკვრივე, λ - მყარი სხეულის თბოგამტარობა.

თბოგამტარობის განტოლებისათვის და მესამე გვარის სასაზღვრო პირობებისათვის მსგავსების თეორიაში მიღებულია უგანზომილებო კომბინაციები, რომლებიც წარმოადგენენ ფურიეს მსგავსების კრიტერიუმს (Fo) თბოგამტარობის დიფერენციალური განტოლებისათვის და ბიოს მსგავსების კრიტერიუმს (Bi), სასაზღვრო პირობებისათვის:

$$Fo = \frac{a \cdot t_*}{h^2}, \quad Bi = \frac{\alpha \cdot h}{\lambda}, \quad (4)$$

სადაც: t_* - გახურების მახასიათებელი ტემპერატურა, h - განივი კვეთის სიმაღლე.

(3) დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ინტეგრებისათვის შემოღებულია უგანზომილებო სიდიდეები:

$$\bar{T} = \frac{T}{T_f}; \bar{t} = \frac{t}{t_*}; \bar{y} = \frac{y}{h}, \quad \bar{g} = g/T_f. \quad (5)$$

სასაზღვრო პირობებს (პირველი და მესამე გვარის) და საწყის პირობებს უგანზომილებო სიდიდეებში აქვთ სახე:

$$\bar{t} = 0, \bar{T} = 1, \bar{y} = 0, \bar{T} = \bar{f}_1(0), \bar{y} = 1, \bar{T} = 1; \bar{t} > 0, \bar{y} = 0, \bar{T} = \bar{f}_1(\bar{t}), \bar{y} = 1, \bar{T} = \bar{T}_*(\bar{t}) \quad (6)$$

$$\bar{t} = 0, \bar{T} = 1, \bar{y} = 0, -\frac{\partial \bar{T}}{\partial \bar{y}} = Bi(\bar{T}_a - 1); \bar{y} = 1, -\frac{\partial \bar{T}}{\partial \bar{y}} = Bi(\bar{T}_h - 1).$$


უგანზომილებო ჭარბი ტემპერატურისათვის ($\vartheta = T - T_f$) (3) განტოლებას აქვს სახე:

$$\frac{\partial \bar{\vartheta}}{\partial \bar{t}} = Fo \cdot \frac{\partial^2 \bar{\vartheta}}{\partial \bar{y}^2} . \quad (7)$$

მესამე გვარის სასაზღვრო პირობა უგანზომილებო ჭარბი ტემპერატურისათვის

$$\frac{\partial \bar{\vartheta}}{\partial \bar{y}} = -Bi \cdot \bar{\vartheta} . \quad (8)$$

(3) ან (7) ტიპის კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების რიცხვითი ინტეგრებისათვის Mathcad-ის სისტემაში გამოყენებულია ჩაშენებული ფუნქცია pdsolve. როცა მოცემულია პირველი გვარის სასაზღვრო პირობა გამოიყენება ფუნქციონალური დამოკიდებულება, დადგენილი ექსპერიმენტალურად ჩვენს მიერ ტემპერატურისათვის. შემდგომ სრულდება ამოცანის კვლევა მესამე გვარის სასაზღვრო პირობისათვის.




ნახ.1 ამოცანის ამონახსნი პირველი

გვარის სასაზღვრო პირობისას


ნახ.1 - ნახ.3 -ზე ნაჩვენებია გაანგარიშების შედეგები სხვადასხვა სასაზღვრო პირობისათვის. ნახ.3-დან ჩანს, რომ თეორიული გაანგარიშების შედეგები კარგად ეთანადება ექსპერიმენტალურ მონაცემებს უგანზომილებო დროის მნიშვნელობამდე $\bar{t} = 0,8$. მაქსიმალური განსხვავება შეიმჩნევა გახურების ბოლოს (დაახლოებით რვა წუ-

თი) და შეადგენს 17%-ს ამ მომენტისათვის. დროის ძირითადი ნაწილისათვის თეორიული შედეგები კარგად ეთანადება ექსპერიმენტალურს.



ნახ.2 ამოცანის ამონახსნი მესამე გვარის სასაზღვრო პირობისას.

$u(x,t)=(T-T_f)/T_f$ უგანზომილებო ჭარბი ტემპერატურაა



ნახ. 3 ამოცანის ამონახსნი მესამე გვარის სასაზღვრო პირობებისას
 ორთავე ბოლოზე. $f_1(t)$ – ექსპერიმენტის შედეგები

არათანაბარი გახურებისას, ღეროში ტემპერატურული ველის უფრო ზუსტი აღწერისათვის საჭიროა ამოიხსნას მრავალგანზომილებიანი არასტაციონარული ამოცანა. ნაშრომში ფორმულირებულია თბოგამტარობის ორგანზომილებიანი არასტაციონარული ამოცანა საწყისი და სასაზღვრო პირობებით. ასეთი ტიპის ამოცანებისათვის Mathcad-ის შესაძლებლობები შეზღუდულია, ამიტომ კერძო წარმოებულნი დიფერენციალური განტოლების ინტეგრებისათვის შემოთავაზებულია წრფეების მეთოდი.

$$\bar{y} = 0, \bar{f}_1(\bar{t}) = \frac{20.688 \cdot \tau^{0.322}}{T_f} \bar{t}^{0.322} + \frac{24.878}{T_f}; \bar{y} = 1, \bar{T} = \frac{0.153 \cdot \tau^{0.98}}{T_f} \bar{t}^{0.98} + \frac{23.929}{T_f}$$

მესამე ნაწილში შეისწავლება ბრტყელი კვეთის განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლები დრეკადობის ცვლადი მოდულის გათვალისწინებით ტემპერატურის არათანაბარი განაწილებისას. მოცემულია განზოგადებული სტატიკური მომენტების, ინერციის მომენტების და დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატების გამოსათვლელი ფორმულები. შესრულებულია მართკუთხა კვეთის რიცხვითი გაანგარიშება Mathcad-ის სისტემაში.

ბრტყელი კვეთის განზოგადებული სტატიკური მომენტები x და y ღერძების მიმართ გამოითვლება ინტეგრალებით:

$$S_x^* = \int_A yF(x, y)dA, \quad S_y^* = \int_A xF(x, y)dA, \quad (9)$$

სადაც: $F(x, y)$ - სკალარული ფუნქციაა, რომელიც აღწერს ელემენტარული მატერიალური ფართის მდგომარეობას და რომლის სახეც დამოკიდებულია მასალის მოდელებზე. განხილული თერმოდრეკადი ამოცანისათვის $F(x, y) = E(T)$.

დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატები განსაზღვრულია ფორმულებით:

$$y_c = S_x^* / A^*, \quad x_c = S_y^* / A^*, \quad (10)$$

სადაც: $A^* = \int_A F(x, y)dA$ - ბრტყელი კვეთის განზოგადებული ფართია.

შესაბამისად, იმისათვის, რომ განისაზღვროს ბრტყელი კვეთის

დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატები საჭიროა, კოორდინატთა xoy სისტემაში კვეთის განზოგადებული სტატიკური მომენტებისა და განზოგადებული ფართის გაანგარიშება. ადვილი შესამჩნევია, რომ ერთგვაროვანი სხეულისათვის ერთგვაროვანი სტრუქტურული პარამეტრებით ბრტყელი კვეთის განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლები წარმოადგენენ გეომეტრიულ მახასიათებლებს, ხოლო დაყვანილი სიმძიმის ცენტრი ემთხვევა გეომეტრიულ ცენტრს.

ბრტყელი კვეთის განზოგადებული ინერციის მომენტები x და y ღერძების მიმართ გამოითვლება ინტეგრალებით:

$$I_x^* = \int_A y^2 F(x, y) dA, I_y^* = \int_A x^2 F(x, y) dA, I_{xy}^* = \int_A xy F(x, y) dA, \quad (11)$$

სადაც: I_x^*, I_y^* – ინერციის განზოგადებული მომენტებია x, y ღერძების მიმართ შესაბამისად, I_{xy}^* – განზოგადებული ცენტრიდანული მომენტი.

$$F(x, y) \equiv E(T) \equiv E(x, y) \quad ; \quad E(T) = E_0 - \beta_k (-T_s^k + T^k), \quad (12)$$

სადაც β_k, T_s, k - მუდმივი სიდიდეებია, T_s - საწყისი ტემპერატურაა, T - მიმდინარე ტემპერატურაა, E_0 - დრეკადობის მოდულია საწყის ტემპერატურაზე.

ნაშრომში გამოკვლეულია მართკუთხა კვეთი სიმაღლეზე ტემპერატურის ცვლილებისას ხარისხობრივი კანონით $T = T_0 + (T_1 - T_0)(y/h)^n$, აქ T_0 და T_1 ტემპერატურებია განივ კვეთში $y = 0$ და $y = h$ -ზე შესაბამისად. დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატა განისაზღვრება ფორმულით:

$$y_c = \left[\int_0^h y [1 - \beta_k / E_0 (-T_s^k + T^k)] dy \right] / \int_0^h dy [1 - \beta_k / E_0 (-T_s^k + T^k)]. \quad (13)$$

ზემოთ მოყვანილი ფორმულებიდან ჩანს, რომ ბრტყელი კვეთის განზოგადებული მახასიათებლების განსაზღვრისათვის საჭიროა გამოითვალოს დიფერენციალური ბინომის ინტეგრალი, რაც საკმაოდ მოცულობითია. ამიტომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი ინტეგრალების რიცხვითი გაანგარიშება. ამისათვის შემოღებულია

უგანზომილებო სიდიდეები:

$$\bar{y} = y/h, \bar{T} = T/T_s, \bar{A}^* = A^*/(E_0 dh), \bar{I}_x^* = I_x^*/(E_0 dh^3);$$

$$\beta_k^* = (1 - E_F/E_0)/[(T_F/T_s)^k - 1], k = 1; 2$$

მაშინ მართკუთხა კვეთისათვის ზემოთწარმოდგენილ ფორმულებს უგანზომილებო სიდიდეებში აქვთ სახე:

$$\bar{y}_c = \left[\int_0^1 \bar{y} d\bar{y} [1 - \beta_k^* (\bar{T}^k - 1)] \right] / \int_0^1 [1 - \beta_k^* (\bar{T}^k - 1)] d\bar{y},$$

$$\bar{I}_x^* = \int_0^1 \bar{y}^2 [1 - \beta_k^* (\bar{T}^k - 1)] d\bar{y}, \tag{14}$$

$$\bar{I}_{xc}^* = \bar{I}_x^* - \bar{y}_c^2 \bar{A}^*,$$

$$\bar{A}^* = \int_0^1 [1 - \beta_k^* (\bar{T}^k - 1)] d\bar{y}.$$

რიცხვითი გაანგარიშება შესრულებულია მუდმივების შემდეგი მნიშვნელობებისათვის $T_s = 26^{\circ}C, T_0 = 108^{\circ}C, T_1 = 34^{\circ}C, k = 1, n = 1$. გაანგარიშების შედეგად მიღებულია კვეთის მახასიათებლების მნიშვნელობები: $\bar{y}_c = 0.504, \bar{I}_x^* = 0.328, \bar{I}_{xc}^* = 0.081, \bar{A}^* = 0.973$.

შესრულებულია განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლებისა და დაყვანილი სიმძიმის ცენტრის რიცხვითი კვლევა ორი შემთხვევისათვის: როცა დრეკადობის მოდული მცირდება 5% -ით და როცა დრეკადობის მოდული მცირდება 10%-ით ტემპერატურის ცვლილების ერთი და იგივე პირობებში. საკონტრუქციო ფოლადებისათვის (ფ.40, ფ.45 და ა.შ) ჩვეულებრივ დრეკადობის მოდული მცირდება 5%-მდე სიდიდით $250^{\circ}C$ -მდე გახურებისას. მაგნიუმის, ალუმინის და სხვა შენადნებისათვის ეს შემცირება შეადგენს 11 - 30%.

ცხრილი 1. გაანგარიშების შედეგები დრეკადობის მოდულის შემცირებისას 5%-ით

№	k	T ₀ °C	T ₁ °C	T _s °C	n	\bar{y}_c	\bar{I}_x^*	\bar{I}_{xc}^*	\bar{A}^*
1	1	108	34	26	1	0,504	0,328	0,081	0,973
2					2	0,504	0,326	0,081	0,965
3					1/2	0,503	0,33	0,082	0,98
4					1/3	0,502	0,33	0,082	0,984
1	1	168	83	26	1	0,507	0,31	0,076	0,913
2					2	0,507	0,307	0,075	0,9

3					1/2	0,505	0,313	0,077	0,925
4					1/3	0,504	0,314	0,077	0,931

ცხრილი 2. გაანგარიშების შედეგები დრეკადობის მოდულის შემცირებისას 10%-ით.

№	k	T ₀ °C	T ₁ °C	T _s °C	n	\bar{y}_c	\bar{I}_x^*	\bar{I}_{xc}^*	\bar{A}^*
1	1	108	34	26	1	0,676	0,223	0,023	0,438
2					2	0,772	0,177	0,008	0,283
3					1/2	0,604	0,256	0,04	0,592
4					1/3	0,574	0,269	0,049	0,669
1	1	168	83	26	1	0,515	0,288	0,069	0,825
2					2	0,516	0,28	0,067	0,801
3					1/2	0,512	0,293	0,07	0,85
4					1/3	0,509	0,295	0,071	0,863

გაანგარიშების შედეგები მოცემულია ცხრ.1 და ცხრ.2-ში. გაანგარიშების შედეგებიდან ჩანს, რომ მასალის დრეკადობის მოდულის უმნიშვნელო (5%-მდე) ცვლილებისას, ბრტყელი კვეთის დაყვანილი სიმძიმის ცენტრი ფაქტობრივად ემთხვევა გეომეტრიულ ცენტრს და კვეთში ტემპერატურის ცვლილების კანონი უმნიშვნელოდ მოქმედებს დაყვანილი სიმძიმის ცენტრის მდებარეობაზე. დრეკადობის მოდულის 10%-მდე ცვლილებისას ტემპერატურის ცვლილების იგივე რეჟიმებისას, დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატა არ ემთხვევა გეომეტრიულ ცენტრს. დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატა არსებითად დამოკიდებულია კვეთის ზედა და ქვედა გვერდების ტემპერატურებზე და კვეთში ტემპერატურის ცვლილების კანონზე.

მეოთხე ნაწილში განიხილება ღეროების დეფორმირების გეომეტრიულად არაწრფივი ამოცანა თერმომექანიკური დატვირთვისას. მოცემულია მრუდწირული ღეროს ბრტყელი დეფორმირების ძირითადი განტოლებები დიდი გადაადგილებებისას ბრტყელი კვეთების ჰიპოთეზის საფუძველზე. მატერიალური თერმოდრეკადი ხაზისათვის ჩაწერილია გეომეტრიის სამი განტოლება და სტატიკის სამი განტოლება. განტოლებათა სისტემა მრუდწირული ღეროებისათვის:

$$\begin{aligned}
dv/dl_0 &= (1+\varepsilon_0)\sin\theta - \sin\theta_0, \\
dw/dl_0 &= (1+\varepsilon_0)\cos\theta - \cos\theta_0, \\
d\theta/dl_0 &= (1+\varepsilon_0)/\rho_0 + \kappa_x, \\
dM/dl_0 &= (1+\varepsilon_0)(H\sin\theta - R\cos\theta - m), \\
dR/dl_0 &= -(1+\varepsilon_0)q_y, \\
dH/dl_0 &= -(1+\varepsilon_0)q_z,
\end{aligned}
\tag{15}$$

სადაც: ρ_0 და ρ - თერმოდრეკადი ხაზის სიმრუდის რადიუსებია დეფორმაციამდე და დეფორმაციის შემდეგ, θ_0 და θ - თერმოდრეკადი ხაზის მხების დახრის კუთხეა z ღერძის მიმართ დეფორმაციამდე და დეფორმაციის შემდეგ, v, w - თერმოდრეკადი ხაზის წერტილების ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებებია, R, H - შიგა ძალის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდგენელებია, M - მღუნავი მომენტია, q_y, q_z - გარე განაწილებული ძალის ვერტიკალური და ჰორიზონტალური მდგენელებია, m - გარე მღუნავი მომენტის ინტენსივობაა.

ცხადია, რომ $w=w(l), v=v(l), \rho=\rho(l), \theta=\theta(l)$, სადაც l - დეფორმირებული თერმოდრეკადი ხაზის რკალის სიგრძეა, ან $w=w(l_0), v=v(l_0), \rho=\rho(l_0), \theta=\theta(l_0)$, სადაც l_0 - თერმოდრეკადი ხაზის რკალის სიგრძეა დეფორმაციამდე. თერმოდრეკადი ხაზის ელემენტარული რკალის სიგრძის ცვლილება გაიანგარიშება ფორმულით: $dl = dl_0(1 + \varepsilon_0)$.

დეფორმაცია ε_0 და სიმრუდის ცვლილების მახასიათებელი პარამეტრი κ_x განისაზღვრებიან ფორმულებით:

$$\varepsilon_0 = (N + \int_A \varepsilon^T F dA) / A^*; \kappa_x = (M + \int_A \varepsilon^T y F dA) / I_x^*, \tag{16}$$

სადაც N - ნორმალური ძალაა $N = H\cos\theta + R\sin\theta$. თერმოდრეკადი ხაზის სიმრუდე დეფორმაციის შემდეგ გაიანგარისება როგორც:

$$1/\rho = 1/\rho_0 + \kappa_x / (1 + \varepsilon_0) . \tag{17}$$

ნებისმიერი CD ფენის დეფორმაცია კვეთში იცვლება წრფივად:

$$\varepsilon_{CD} = \varepsilon_0 + \kappa_x \cdot y .$$

განტოლებათა სისტემა (15), (16) განტოლებასთან და ნორმა-

ლური ძალის გამოსახულებასთან ერთად, ქმნიან დიფერენციალურ განტოლებათა ჩაკეტილ სისტემას, რომელზეც დაიყვანება გეომეტრიულად არაწრფივი ამოცანის ამოხსნა. ნაშრომში ჩაწერილია სასაზღვრო პირობები ჩამაგრების ბოლოების სხვადასხვა სახისათვის.

სიდიდეები θ_0 და ρ_0 აღწერენ ღეროს საწყის გეომეტრიას. თუ ზემოთ მოტანილ განტოლებებში ჩავსვამთ $\theta_0=0$, $\rho_0 \rightarrow \infty$, მიიღება სწორი ძელის დეფორმირების დიფერენციალური განტოლებები.

მიღებული ჩვეულებრივი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების სისტემა სასაზღვრო პირობებით ეფექტურად ამოიხსნება რიცხვითი მეთოდებით. ნაშრომში გამოყენებულია ამონახსნის პარამეტრის მიმართ გაგრძელებისა და პარალელური სროლის მეთოდი, შემუშავებული ნ.ვალიშვილის მიერ.

რიცხვითი გაანგარიშებისათვის შემოღებულია უგანზომილებო სიდიდეები:

$$\bar{l} = \frac{l}{L}, \bar{v} = \frac{v}{L}, \bar{w} = \frac{w}{L}, \bar{\kappa}_x = \kappa_x L, \bar{R} = \frac{R}{q_* L}, \bar{H} = \frac{H}{q_* L}, \bar{m} = \frac{m}{q_* L}, \bar{M} = \frac{M}{q_* L^2}, \bar{y} = \frac{y}{h}, \bar{T} = \frac{T}{T_f}, \bar{\rho} = \frac{\rho}{L}$$

$$\bar{z} = \frac{z}{L} \text{ (სწორი ღეროებისათვის)}. \bar{l}_0 = \frac{l_0}{L}, \bar{q}_{y,z} = \frac{q_{y,z}}{q_*},$$

სადაც L - ღეროს სიგრძეა დეფორმაციამდე, q_* - განაწილებული დატვირთვის მაქსიმალური მნიშვნელობაა.

განტოლებათა სისტემას სწორი ღეროებისათვის უგანზომილებო სიდიდეებში აქვს სახე:

$$\begin{aligned} \frac{d\bar{v}}{d\bar{z}} &= (1 + \varepsilon_0) \sin \theta, \\ \frac{d\bar{w}}{d\bar{z}} &= (1 + \varepsilon_0) \cos \theta - 1, \\ \frac{d\theta}{d\bar{z}} &= \bar{\kappa}_x, \\ \frac{d\bar{R}}{d\bar{z}} &= -(1 + \varepsilon_0) \bar{q}_y, \\ \frac{d\bar{H}}{d\bar{z}} &= -(1 + \varepsilon_0) \bar{q}_z, \\ \frac{d\bar{M}}{d\bar{z}} &= (1 + \varepsilon_0) (\bar{H} \sin \theta - \bar{R} \cos \theta - \bar{m}), \end{aligned} \tag{18}$$

$$\bar{N} = \bar{H} \cos \theta + \bar{R} \sin \theta, \quad \bar{\kappa}_x = \frac{\bar{M}}{\bar{I}_x} \bar{q} + \frac{L \alpha T_f}{h \bar{I}_x} \int_0^1 \bar{E}(\bar{T} - 1) \bar{y} d\bar{y},$$

$$\varepsilon_0 = \frac{1}{A^*} \left(\bar{N} \frac{h^2}{L^2} \bar{q} + \beta T_f \int_0^1 \bar{E}(\bar{T} - 1) d\bar{y} \right).$$

ფორმულირებულია არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა არასტაციონარული თერმომექანიკური დატვირთვისას ინერციული შემაღენლების გათვალისწინების გარეშე.

ნაშრომში ამოხსნილია სწორი ღეროების დეფორმირების რიგი ამოცანები სტაციონალური თერმომექანიკური დატვირთვისას. ჩათვლილია, რომ ტემპერატურა იცვლება განივი კვეთის სიმაღლეში მოცემული კანონით. ქვემოთ მოტანილია განაწილებული ძალით და ტემპერატურული ველით დატვირთული სტატიკურად ურკვევი ძელის გადაადგილებებისა და შიგა ძალების რიცხვითი გაანგარიშების შედეგები.

რიცხვითი გაანგარიშებისათვის Y ვექტორი წარმოვადგინოთ შემდეგი კომპონენტებით:

$$Y = (Y_1, Y_2, Y_3, Y_4, Y_5, Y_6)^T, \quad (19)$$

სადაც:

$$Y_1 \equiv \bar{v}, Y_2 \equiv \theta, Y_3 \equiv \bar{w}, Y_4 \equiv \bar{R}, Y_5 \equiv \bar{M}, Y_6 \equiv \bar{H}. \quad (20)$$

ამოცანის ამოხსნისას იაკობიანის გამოთვლის მიზნით მნიშვნელოვანია ჩავწეროთ Y ვექტორი საინტეგრო ინტერვალის საწყისი წერტილისათვის და ბოლო წერტილისათვის.

საინტეგრო ინტერვალის საწყის წერტილში Y ვექტორს აქვს სახე:

$$Y(0) = (0, 0, 0, A_1, A_2, A_3)^T, \quad (21)$$

სადაც $A_i, i=1,2,3$ უცნობი საწყისი პარამეტრებია (სროლის პარამეტრებია). მათი განსაზღვრისათვის გვაქვს სასაზღვრო პირობები ღეროს ბოლოში: $\varphi_4 = y_1 = 0, \varphi_5 = y_5 = 0, \varphi_6 = y_6 = 0$. (18) განტოლებებში საჭიროა ჩავსვათ: $\bar{q}_z = 0, \bar{q}_y = 1, m = 0$.


იაკობიანს აქვს სახე:

$$I = \begin{pmatrix} \frac{\partial \varphi_4}{\partial A_1} & \frac{\partial \varphi_4}{\partial A_2} & \frac{\partial \varphi_4}{\partial A_3} \\ \frac{\partial \varphi_5}{\partial A_1} & \frac{\partial \varphi_5}{\partial A_2} & \frac{\partial \varphi_5}{\partial A_3} \\ \frac{\partial \varphi_6}{\partial A_1} & \frac{\partial \varphi_6}{\partial A_2} & \frac{\partial \varphi_6}{\partial A_3} \end{pmatrix} \quad \text{ან} \quad I = \begin{pmatrix} \frac{\partial y_1}{\partial A_1} & \frac{\partial y_1}{\partial A_2} & \frac{\partial y_1}{\partial A_3} \\ \frac{\partial y_5}{\partial A_1} & \frac{\partial y_5}{\partial A_2} & \frac{\partial y_5}{\partial A_3} \\ \frac{\partial y_6}{\partial A_1} & \frac{\partial y_6}{\partial A_2} & \frac{\partial y_6}{\partial A_3} \end{pmatrix}$$

A_i პარამეტრების მნიშვნელობები როცა $\bar{q} = 0$, ნულის ტოლია $A_i = 0, i = 1, 2, 3$.


მოდრაობის პარამეტრის საწყისი ბიჯი 0,01 ტოლია. მოძრაობის პარამეტრის ყოველ ბიჯზე კრებადობა მიიღწეოდა 2-3 იტერაციით. სასაზღვრო პირობების დაკმაყოფილების სიზუსტე შეადგენს 10^{-4} .

ნახ.4-ზე წარმოდგენილია გადაადგილების კომპონენტების გრაფიკები, ხოლო ნახ.5-ზე-შიგა ძალოვანი ფაქტორების გრაფიკები დატვირთვის პარამეტრის მნიშვნელობისათვის $\bar{q} = 0,06$. შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ \bar{q} პარამეტრის გაზრდით არსებითად იცვლება თანაფარდობა \bar{v} და \bar{w} გადაადგილებებს შორის.



ნახ. 4 ღეროს გადაადგილებები დატვირთვის პარამეტრის მნიშვნელობისათვის $\bar{q} = 0.6$; $v = \bar{v} \cdot 10^3$, $\theta = \bar{\theta} \cdot 10^2$, $w = \bar{w} \cdot 10^4$

დატვირთვის ვექტორი არ იცვლის მიმართულებას. განგარიშები ჩატარებულია გეომეტრიული ზომებისა და მასალის პარამეტრების შემდეგი მნიშვნელობებისათვის:
 $h = 0.012, d = 0.024, L = 0.7, T_f = 26^\circ C, T_a = 30^\circ C, T_h = 56^\circ C$. $n = 0.3$ ამ მასალისათვის და გეომეტრიული ზომების ძელისათვის $q_* = 14,4\bar{q}$ კნ/მ.



ნახ.5 მღუნავი მომენტის და ძალის ვერტიკალური მდგენელის განაწილება დატვირთვის პარამეტრის მნიშვნელობისათვის
 $\bar{q} = 0.6; R = \bar{R}, M = \bar{M} \cdot 10$

მეხუთე ნაწილში წარმოდგენილია ექსპერიმენტალური კვლევის შედეგები. აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასალათა გამძლეობის ლაბორატორიაში ჩატარებული იქნა მართკუთხა, მუდმივი განივი კვეთის მქონე კონსოლური ძელის გამოცდა თერმომექანიკური დატვირთვისას (ნახ.6).


ექსპერიმენტალური სტენდის სქემა ნაჩვენებია ნახ.7-ზე. სტენდის მახასიათებელი გეომეტრიული ზომებია: $l = 700\text{მმ}$, $l_1 = 350\text{მმ}$, $l_2 = 190\text{მმ}$, $l_3 = 240\text{მმ}$. ძელის მასალა - ფ.45, გეომეტრიული ზომები -12x24x700 (მმ). დამზადებული იქნა გამახურებელი მოწყობილობა 200 ვტ სიმძლავრის სპირალის გამოყენებით, რომლითაც ვახურებდით ქვედა ზედაპირის ნაწილს 19 სმ სიგრძეზე. ტემპერატურა გაზომილი იქნა ციფრული კონტაქტური თერმომეტრით TK – 5.03. გადაადგილებების გაზომვისათვის გამოყენებული იქნა საათური ტიპის ინდიკატორები. მექანიკურ დატვირთვას ვქმნიდით 1 კგ და 2 კგ საწონებით.

ცდები ჩატარებულია დატვირთვის ორი შემთხვევისათვის: პირველი - როცა კოჭი მხოლოდ ხურდება ქვედა ზედაპირის ნაწილზე და მეორე - თერმომექანიკური დატვირთვისათვის. თერმომექანიკური დატვირთვისას კოჭი იტვირთებოდა თავისუფალ ბოლოზე

საწონით, შემდეგ ვახურებდით ქვედა ზედაპირის ნაწილზე. კოჭი ხურდებოდა 8 წთ-ის განმავლობაში. 40 წმ ინტერვალით იზომებოდა ტემპერატურა ქვედა ზედაპირის გახურების არეში და ტემპერატურა ზედა ზედაპირის მოცემულ წერტილში, ასევე თავისუფალი ბოლოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებები.



ნახ.6 ექსპერიმენტალური სტენდი



ნახ.7 ექსპერიმენტალური სტენდის სქემა.

1-კონსოლი, 2-თერმომეტრი, 3-გამახურებელი მოწყობილობა, 4- ინდიკატორები, 5- საწონები

ექსპერიმენტი ერთფაქტორიანია. დამოუკიდებელი ფაქტორია დრო. გამოყენებულია თანმიმდევრობითი გეგმა. შესრულებულია


სამი განმეორებითი გაზომვა დამოუკიდებელი ფაქტორის ყველა დონისათვის. მკვეთრად გამორჩეული ექსპერიმენტალური წერტილები მოწმდებოდა სმირნოვ-გრეზის კრიტერიუმით. გაზომვების შედეგები წარმოდგენილია ცხრილების სახით დანართებში. დამოუკიდებელი ფაქტორის ყველა დონისათვის ნაპოვნია გაზომილი სიდიდეების საშუალო მნიშვნელობები.

ექსპერიმენტალური მონაცემების გრაფიკული და ანალიზური სახით წარმოდგენისათვის ჩატარებული იქნა გაზომვების შედეგების დამუშავება Mathcad-ის სისტემაში.

ნახ.8-ზე ნაჩვენებია კოჭის ქვედა გახურებული ნაწილის და ზედა ზედაპირის გაზომვის წერტილში ტემპერატურების დამოკიდებულება დროზე. ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების ანალიზური სახით წარმოდგენისათვის გამოყენებულია სამპარამეტრიანი რეგრესია შემდეგი სახის ხარისხობრივი ფუნქციით:

$$f(t) = a \cdot t^b + c, \tag{22}$$

სადაც a, b, c - რეგრესიის საძიებო პარამეტრებია.




ნახ.8 კოჭის ქვედა გახურებული ნაწილის ტემპერატურის (T_0) და ზედა ზედაპირის ტემპერატურის (T_1) დამოკიდებულება დროზე გაზომვის წერტილში

$$x := (0 \ 40 \ 80 \ 120 \ 160 \ 200 \ 240 \ 280 \ 320 \ 360 \ 400 \ 440 \ 480)^T$$

$$y := (26 \ 85 \ 108 \ 123 \ 135 \ 143 \ 150 \ 155.3 \ 159 \ 161.3 \ 167 \ 168.3 \ 172)^T$$

$$g := \begin{pmatrix} 1 \\ 1 \\ 1 \end{pmatrix} \quad C := \text{pwrfit}(x, y, g)$$

$$f(t) := C_0 \cdot t^{C_1} + C_2 \quad C = \begin{pmatrix} 20.668 \\ 0.322 \\ 24.878 \end{pmatrix}$$



ნახ.9 გახურების ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების ხარისხობრივი რეგრესია რეგრესიის პარამეტრების მნიშვნელობები

მოცემულია C მატრიცაში:

$$C_0 = a = 20.688, C_1 = b = 0.322, C_2 = c = 24.878.$$

მაშასადამე $f_1(t)$ ფუნქციას აქვს სახე:

$$f_1(t) = 20.688 \cdot t^{0.322} + 24.878. \quad (23)$$

ნახ.9-ზე კონტურის ხაზით აგებულია გასაშუალებული ექსპერიმენტალური მონაცემების დამოკიდებულება დროზე, ხოლო წყვეტილი ხაზით წარმოდგენილია (23) ფორმულის შესაბამისი გრაფიკი. ნახ.9-დან ჩანს, რომ (23) ფუნქცია კარგად აღწერს ცდების შედეგებს.


ხარისხობრივი რეგრესიით დამუშავებული იქნა ასევე ექსპერიმენტალური მონაცემები ზედა ზედაპირისათვის გაზომვის წერტილში. რეგრესიის კოეფიციენტების გაანგარიშებული მნიშვნელობები მოცემულია D მატრიცაში. $D_0 = 0.153, D_1 = 0.98, D_2 = 23.929$. შესაბამისად, ზედა ზედაპირზე გაზომვის წერტილში ტემპერატურის დამოკიდებულებას დროზე აქვს სახე:

$$T(t) = 0.153 \cdot t^{0.98} + 23.929, \quad (24)$$

$$y1 := (25 \ 28.67 \ 34.33 \ 39.67 \ 46.67 \ 51.33 \ 57.33 \ 62.33 \ 68 \ 73 \ 78.33 \ 83.33 \ 87.67)^T$$

$$g1 := \begin{pmatrix} 1 \\ 1 \\ 1 \end{pmatrix} \quad D := \text{pwrfit}(x, y1, g1)$$

$$D = \begin{pmatrix} 0.153 \\ 0.98 \\ 23.929 \end{pmatrix} \quad f1(t) := D_0 \cdot t^{D_1} + D_2$$



ნახ. 10 ხარისხობრივი რეგრესია. ტემპერატურის დროზე დამოკიდებულება გაზომვის წერტილში

ნახ.10-ზე კონტურის ხაზით ნაჩვენებია ტემპერატურის დროზე დამოკიდებულების გრაფიკი აგებული განმეორებითი გაზომვების მონაცემების გასაშუალებული მნიშვნელობებით, ხოლო წყვეტილი ხაზით აგებულია (24) ფუნქციის შესაბამისი გრაფიკი. ნახ.10-დან ჩანს, რომ (24) ფუნქცია საკმაოდ კარგად აღწერს ექსპერიმენტის შედეგებს.

(23) და (24) ფუნქციები გამოყენებული იქნა მეორე ნაწილში როგორც სასაზღვრო პირობები, თბოგამტარობის არასტაციონარული ამოცანის ამოხსნისას.

ძირითადი შედეგები და დასკვნები

1. შესრულებულია გადაადგილებებისა და შიგა ძალოვანი ფაქტორების თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევა ღეროების ბრტყელი დეფორმირებისას.
2. შესწავლილია მართკუთხა განივი კვეთის მქონე ძელის ტემპერატურული ამოცანა. ერთგანზომილებიანი არასტაციონარული თბოგამტარობის დიფერენციალური განტოლება ამოხსნილია Mathcad - ის სისტემაში პირველი და მესამე გვარის სასაზღვრო პირობებისათვის, მათ შორის, ექსპერიმენტალურად დადგენილი არასტაციონალური სასაზღვრო პირობებისათვის. რიცხვითი გაანგარიშების შედეგები კარგად ეთანადება ექსპერიმენტის შედეგებს. მაქსიმალური ცდომილება შეადგენს 17%-ს გახურების ბოლოს, როცა $t=440$ წმ. წარმოდგენილია გაანგარიშების გამოყენებითი პროგრამები.
3. განხილულია თბოგამტარობის ორგანზომილებიანი არასტაციონარული ამოცანა, როცა ღეროს ზედაპირის ნაწილზე ზემოქმედებს გამახურებელი მოწყობილობა. სასაზღვრო პირობები ღეროს ამ ნაწილზე ჩაწერილია ხევისაიდის ფუნქციის საშუალებით. კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლების ამოხსნა შემოთავაზებულია წრფეების მეთოდით დაყოფის მართკუთხა ბადის საფუძველზე.
4. შესწავლილია ბრტყელი კვეთის განზოგადებული მახასიათებლები ტემპერატურის არათანაბარი განაწილებისას და ცვლადი დრეკადობის მოდულისას. გაანგარიშებულია განზოგადებული ინერციის მომენტები საკონსტრუქციო ნახშირბადოვანი ფოლადებისათვის და სხვადასხვა შენადნებისათვის. დადგენილია, რომ განზოგადებული გეომეტრიული მახასიათებლების გაანგარიშება არსებითია ალუმინის, მაგნიუმის და სხვა შენადნებისათვის, რომელთა დრეკადობის მოდული იცვლება 24% -მდე, 250-300°C-მდე გახურებისას, ხოლო საკონსტრუქციო ნახშირბადოვანი ფოლადების გახურებისას 250 °C-მდე დრეკადობის მო-

- დული იცვლება უმნიშვნელოდ და შესაძლებელია ჩვეულებრივი გეომეტრიული მახასიათებლების გამოყენება.
5. განსაზღვრულია დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატები ტემპერატურის არათანაბარი განაწილებისას. დადგენილია, რომ ტემპერატურების განსხვავების ზრდა კვეთის გვერდებზე გავლენას ახდენს დაყვანილი სიმძიმის ცენტრის კოორდინატებზე და ფაქტობრივად არ არის დამოკიდებული ტემპერატურის ცვლილების კანონზე. გაანგარიშებები შესრულებულია Mathcad-ის სისტემაში. წარმოდგენილია გამოყენებითი პროგრამები.
 6. განხილულია მრუდწირული ღეროების ბრტყელი ღუნვის არაწრფივი ამოცანა თერმომექანიკური დატვირთვისას. ჩაწერილია არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების სისტემა თერმოდრეკადი ხაზის დეფორმაციის გათვალისწინებით. ფორმულირებულია სასაზღვრო პირობები.
 7. სტაციონარული თერმომექანიკური დატვირთვისათვის ჩატარებულია რიცხვითი გაანგარიშებები visual FORTRAN-ზე. არაწრფივი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნა შესრულებულია ამონახსნის პარამეტრის მიმართ გაგრძელებისა და პარალელური სროლის მეთოდით. მოცემულია სწორი ღეროების გაანგარიშების შედეგები და წარმოდგენილია გადაადგილებების და შიგა ძალოვანი ფაქტორების განაწილებები. დადგენილია კრიტიკული დატვირთვა, რომელიც შეესაბამება დეფორმირების კრიტიკულ წერტილს, რომელშიც $(\partial \bar{v} / \partial \bar{q} \rightarrow \infty)$.
 8. განხილულია სწორი ღეროს ბრტყელი დეფორმირების ამოცანა არასტაციონარული თერმომექანიკური დატვირთვისას ინერციული შემაღენლების გათვალისწინების გარეშე. ფორმულირებულია ძირითადი განტოლებები, საწყისი და სასაზღვრო პირობები. თბოგამტარობის განტოლებისათვის ფორმულირებულია შერეული სასაზღვრო პირობები ღეროს ზედაპირის ნაწილზე.
 9. შესრულებულია ფ.45 ფოლადის მართკუთხა განივი კვეთის მქონე კონსოლური ძელის გადაადგილებებისა და ტემპერატურ-

- რული ველის ექსპერიმენტალური კვლევა. ძელის ქვედა ზედაპირის ნაწილის გახურებისათვის დამზადებულია გამახურებელი მოწყობილობა და აწყობილია ექსპერიმენტალური სტენდი.
10. შესრულებულია ტემპერატურების გაზომვა ძელის ქვედა ნაწილის გახურების არეში და ზედა თავისუფალი ზედაპირის, ასევე, თავისუფალი ბოლოს ვერტიკალური და ჰორიზონტალური გადაადგილებების გაზომვა. დადგენილია, რომ თავისუფალი ზედაპირის ტემპერატურა დაახლოებით ორჯერ ნაკლებია ტემპერატურაზე ღეროს გახურების არეში. ძალით დატვირთვისას ვერტიკალური გადაადგილება არსებითად მეტია ჰორიზონტალურზე, ხოლო ძელის ნაწილის გახურებისას ჰორიზონტალური გადაადგილებები მეტია ვიდრე განივი.
 11. ექსპერიმენტალური გაზომვების შედეგები დამუშავებულია Mathcad-ის სისტემაში. რეგრესიული ანალიზის გზით მიღებულია ძელის ქვედა ზედაპირის გახურების არის და ზედა ზედაპირის ტემპერატურების დამოკიდებულებები დროზე, რომლებიც გამოყენებულია როგორც სასაზღვრო პირობები ტემპერატურული ამოცანის რიცხვითი გაანგარიშებისას. ნაპოვნია ხარისხობრივი რეგრესიის კოეფიციენტები, რომლებიც საკმაოდ კარგად აღწერენ ექსპერიმენტალურ მრუდებს. წარმოდგენილია გამოყენებითი პროგრამა.
 12. გაანგარიშების დამუშავებული მეთოდოლოგია შეიძლება გამოყენებული იქნეს მანქანათმშენებლობის და სამშენებლო ლითონკონსტრუქციების ღეროვანი ელემენტების გაანგარიშებისათვის, რომლებიც განიცდიან მექანიკურ და სითბურ ზემოქმედებებს. დამუშავებული გამოყენებითი პროგრამები ადვილად შეიძლება გამოიყენებული იქნეს ინჟინრების მიერ პრაქტიკულ გაანგარიშებებში, ასევე მაღალი კურსის სტუდენტების სწავლის პროცესში.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შრომებში

1. Киквидзе О.Г., Байсарова Г.Г. Экспериментальное исследование перемещений и температурного поля в стержне при термомеханическом нагружении// GEORGIAN ENGINEERING NEWS, No.3(vol.75),2015.-pp.41-44
2. Киквидзе О.Г., Байсарова Г.Г. Устойчивость стержня при неравномерном термомеханическом нагружении// GEORGIAN ENGINEERING NEWS, No.1,2016.-pp.60-63
3. Байсарова Г.Г., Киквидзе О.Г. Обобщенные геометрические характеристики для расчета лопаток турбин//III International Scientific Conference ENERGY:REGIONAL PROBLEMS AND DEVELOPMENT OPPORTUNITIES 24-25.10.2015 Kutaisi, Georgia.- pp.241-244
4. Baisarova G., Kikvidze O. Experimental investigation of beam at thermo mechanical loading // VI ANNUAL MEETING OF THE GEORGIAN MECHANICAL UNION 30.09-4.10.2015 Tbilisi, Georgia.- p.7
5. Kikvidze O., Baisarova G. Non stationary problem of beam's deformation at thermo mechanical loading//Kutaisi. BULLETIN OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY №2(4).- 2014.-pp.77-82.
6. Tvalchrelidze A., Baisarova G., Suieuoova N. Some Applications of the Theory of Shells with the Use of Several Basic Surfaces.//IV Annual Meeting of the Georgian Mechanical Union. BOOK OF ABSTRACTS, 8.11.2013-10.11.2013, Kutaisi. - p.56

Akaki Tsereteli State University
Faculty of Technical Engineering

On right of manuscript

BAISAROVA GULBANU

Speciality: 04.08 – Mechanical Engineering and Technology

Calculation of large displacements of
thermoelastic rods

Abstract
of dissertation for gaining of academic degree
of engineering

Kutaisi 2016